

1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ-გვერდის შექმნა

1.2 საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

1. პორტალის ინტერფეისი უნდა იყოს მრავალენოვანი (მინიმუმ 5 ენა- ქართული, ინგლისური, რუსული, აფხაზური, თურქული) ასევე ენების მარტივად დამატების შესაძლებლობით. მისი აწყობისას გამოყენებული უნდა იყოს პროგრამული ტექნოლოგიები: HTML5, CSS3, JQuery Framework, Ajax, MS SQL, MVC Pattern Net Core Framework ან PHP, MySQL.

2. ვებ-გვერდის ხარვეზების გარეშე უნდა მუშაობდეს ყველა პლატფორმაზე (Windows, Linux, Mac, Android, IOS), და ყველა პოპულარულ ვებ-ბრაუზერში (IE, Mozilla, Chrome, Opera, Safari, EDGE).

3. დიზაინის შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი თავსებადობა მობილური ტელეფონების ბრაუზერებისთვის და სხვადასხვა დიაგონალის მქონე მოწყობილობის ეკრანისთვის. (ვებ-გვერდი უნდა იყოს Responsive);

4. ვებ-გვერდი ოპტიმიზირებული უნდა იყოს ძირითადი სამიებო სისტემების (Google, Yahoo!, Bing, Yandex) მოთხოვნების შესაბამისად;

5. მართვის სისტემა უნდა იყოს OpenSource ტექნოლოგიებზე, იძლეოდეს კოდის რედაქტირების საშუალებას (კოდის წერისას აუცილებელია გაკეთდეს კომენტარები) და არ უნდა იყოს შეზღუდული განვითარებისთვის. იგი უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ შემუშავებული პროგრამული პროდუქტი;

6. საიტი უნდა იყოს მდგრადი კიბერ-შეტევების მიმართ. (მაგალითად: Sql Injection, Cross site Scripting, Cross site Request Forgery, Session Hijacking, HTTP Response Splitting, Remote/Local File Inclusion, Directory Transversal, Insecure, Direct Object References, Security Misconfiguration, Unvalidated Redirects and Forwards, Blind SQL Injection და სხვ.);

7. ვებ-გვერდის შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს მასზე Android და IOS აპლიკაციების დაკავშირების საშუალება. ნებისმიერი სახის ინფორმაციის დამატებისას საშუალება უნდა იყოს აღნიშნული ინფორმაციის აპლიკაციაში გატანა. (გასათვალისწინებელია API);

8. მთავარ გვერდზე გამოტანილი ინფორმაცია დაყოფილი უნდა იყოს ბლოკებად. ადმინ პანელიდან თითოეულ ბლოკში შესაძლებელი უნდა იყოს გამოიტანო რომელიმე არსებული კატეგორიის ან ქვეკატეგორიის ინფორმაცია. შესაძლებელი უნდა იყოს ამ ბლოკების მართვა/დამატება/წაშლა/ ადმინ პანელიდან. ასევე საჭიროა ადმინ პანელიდან ამ ბლოკებს შორის სარეკლამო ბანერის და HTML კოდის ჩასმის საშუალება. ბლოკების ზომები შემსრულებელმა უნდა შეათანხმოს შემსყიდველთან;

9. ვებ-ადმინ პანელი მომხმარებლისთვის უნდა იყოს გამარტივებული გვერდის მართვის საშუალება და საიტის მენიუს პუნქტების მართვა (ახლის დამატება/რედაქტირება/წაშლა);

10. ვებ-გვერდი დამზადებული უნდა იყოს ქეშირების მეთოდის გამოყენებით. (პირველი ჩატვირთვის გარდა ყოველი გვერდის ჩატვირთვისას, თუ ინფორმაცია არ იცვლება გვერდმა მონაცემთა ბაზას არ უნდა მიაკითხოს). ადმინ პანელში საჭიროა იყოს ქეშის გაწმენდის ღილაკი;

11. აუცილებელია სისტემას გააჩნდეს ქმედებების არქივი (Log), სადაც დაფიქსირდება სისტემაში მომხდარი ყველა ქმედება, თარიღით, მომხმარებლის სახელით, IP მისამართით და კონკრეტული ქმედების აღწერილობით.;

12. სისტემაში უნდა იყოს ჩამატებული ვებ-გვერდის სარეზერვო ასლის შენახვის მოდული, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება გაკეთდეს სარეზერვო ასლი როგორც ფაილების ასევე მონაცემთა ბაზის. (სავალდებულოა მონაცემთა ბაზის Backup-ის გაკეთება დღეში ერთხელ);

13. ადმინ პანელში შესაძლებელი უნდა იყოს რამოდენი მემომხმარებლის ერთდროულად მუშაობა. ყველა სამინისტროს უნდა გააჩნდეს თავისი გარემო ადმინ პანელში;

14. ვებპორტალის დიზაინი უნდა იყოს შექმნილი შემსყიდველთან შეთანხმებით;

15.თავდაპირველად პრეტენდენტმა უნდა შექმნას პროექტის კონცეპტუალური დიზაინი, რომელიც გულისხმობს ვებ პორტალის ესკიზს (მინიმუმ 2 ვერსია).ესკიზი უნდა შეიქმნას როგორც მთავარი გვერდის, ასევე რამდენიმე შიდა გვერდისა და სამინისტროს შაბლონური გვერდის. პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ის შენიშვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ექნება ესკიზის მიმართ შემსყიდველს.(არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა) თუ შემსყიდველს არ მოეწონება შემსრულებლის მიერ შექმნილი ესკიზები, შემსყიდველს შეუძლია წარადგინოს თავისი ვერსია რაც შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს;

16.საბოლოო ესკიზის შეთანხმების შემდეგ გამარჯვებულმა უნდა შექმნას ესკიზის მიხედვით ვებპორტალის დიზაინი. თავდაპირველად პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილი უნდა იყოს მთავარი გვერდის დიზაინი. ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელი იქნება ყველა არსებული შენიშვნა შემსყიდველის მხრიდან..დიზაინის დამტკიცების შემდგომ პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს ყველა შიდა გვერდის დიზაინი.

17.საძიებო სისტემას უნდა ჰქონდეს ეგრეთწოდებული “live search”-ის ფუნქცია.ინფორმაციის შეყვანის პარალელურად უნდა გამოჰქონდეს არსებული ვარიანტები, ინფორმაციის სწრაფი და ხარისხიანი მიწოდებისათვის. საძიებო ველში შეყვანილ Key Word-ს სისტემა მოძებნის მთელს ბაზაში. მსგავსი ინფორმაციის ნახვის შემთხვევაში გამოიტანს ყველა არსებულ ინფორმაციას,რომელზე დაჭერის შემთხვევაშიც მომხმარებელი გადავა ძებნის გვერდზე;

18.ძებნის შედეგი საძიებო სისტემამ უნდა გამოიტანოს პოსტების სახით. ზედა ნაწილში უნდა იყოს გამოტანილი ის კატეგორიები, რომელ კატეგორიებშიც არის ძიების შედეგად გამოტანილი პოსტები. ამ კატეგორიებზე დაჭერის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ აღნიშნულ კატეგორიაში არსებული პოსტების გამოტანა. აქვე საჭიროა გამოტანილი პოსტების სორტირება რელევანტობისა და თარიღის მიხედვით;

19.მთავარ და ყველა შიდა გვერდზე უნდა იყოს სოციალურ ქსელებთან დამაკავშირებელი აიკონები. (მოწონება და გაზიარება);

20.შესაძლებელი უნდა იყოს ყველა გვერდის გაზიარება სოციალური მედიის საშუალებით, რა დროსაც სისტემამ უნდა გაიტანოს პოსტის/გვერდის მთავარი ფოტო და არსებული პოსტის/გვერდის Description-ი;

21. ყველა გვერდს უნდა ქონდეს თავისი meta ტეგები Title, Description, Keywords და <meta property="og:" ტეგები საძიებო სისტემისთვის და სოციალური ქსელებისთვის;

22. ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს დაამატოს ძირითად layout-ში Google analytics, TOP.GE ან სხვა სისტემის კოდი და <meta name="google-site-verification" content="" /> შიგთავსი;

23. საიტზე იქნება 2 მენიუ. ერთი მთავარი მენიუ რომელიც იქნება განკუთვნილი მთავრობის ინფორმაციის ნავიგაციისთვის და მეორე რომელიც იქნება ცალკე ყველა სამინისტროს შიდა გვერდს;

24. შესაძლებელი უნდა იყოს კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების დამატება/წაშლის ფუნქცია;

25. ადმინ პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს ყველა ტიპის გვერდზე განთავსებული პოსტების ქრონოლოგიის ცვლა (რაც გულისხმობს პოსტების გადანაცვლებას ერთ სივრცეში მაუსის ერთი მოძრაობით ან თარიღისა და დროის მითითებით.);

26. ბაზაში ახალი ინფორმაციის შეტანისას საჭიროა იყოს Save და Save and Close ფუნქცია (იმისათვის რომ მუშაობა უფრო გამარტივდეს).

27. ვებ გვერდს უნდა გააჩნდეს ინტეგრირებული მძლავრი ტექსტური და გრაფიკული რედაქტორი, რათა განსაკუთრებული ვებ-ტექნოლოგიების ცოდნის გარეშე შეძლოს ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციის პორტალზე დამატება ან არსებულის რედაქტირება. რედაქტირება უნდა ხდებოდეს უშუალოდ პორტალზე;

28. სურათის ატვირთვისას მის დიზაინში მითითებული ზომის და მოთხოვნის მიხედვით ზომებში ოპტიმიზირება;

29. შესაძლებელი უნდა იყოს ადმინ პანელიდან საიტის ლოგოს შეცვლის ფუნქცია;

30. გვერდს უნდა გააჩნდეს საკუთარი Favicon რომლის წაშლა და ახალის დამატება შესაძლებელი იქნება ადმინ პანელიდან. (შემსყიდველთან შეთანხმებით, განისაზღვრება ლოგოტიპი);

31. შესაძლებელი უნდა იყოს მთავარ გვერდზე, ზედა ცენტრალურ ნაწილში პოსტების ან გვერდების გამოტანა ბანერის სახით (Main slider) (ფოტოს ატვირთვა ან ვიდეორგოლის განთავსება და მისი მართვა დამატება/წაშლა ადმინ პანელიდან). იქედან გამომდინარე, რომ სლაიდერში განთავსებული ფოტოები სხვა ზომების იქნება საშუალება უნდა იყოს სლაიდერისთვის ცალკე ფოტოს ატვირთვის საშუალება. ვიდეო მასალის განთავსებისას, ჩატვირთვის დროს ვიდეო უნდა იწყებოდეს ხმის გარეშე. სლაიდერზე უნდა იყოს ხმის ჩართვა-გამორთვის ღილაკი და ასევე ვიდეოს და პაუზება ჩართვის ღილაკი. საჭიეების შემთხვევაში უნდა გამოდიოდეს Read more ლინკი;

32. იმ შემთხვევაში თუ პოსტს არ მივამაგრებთ მთავარ ფოტოს სისტემამ ავტომატიურად უნდა მიამაგროს წინასწარ გათვალისწინებული ფოტო;

33. ყველა გვერდს უნდა ქონდეს „Lifting“ (ის უნდა ჩნდებოდეს გვერდის ჩამოსქროლვისას);

34. უმოქმედობის შემთხვევაში ადმინ პანელმა ავტომატიურად უნდა მოახდინოს მომხმარებლის გამოყვანა სისტემიდან. (სავარაუდოდრო 30 წუთი);

35. სისტემას უნდა ქონდეს იუზერების შექმნის/შეცვლის ფუნქცია. (სისტემაში არსებული User-ების სია მოგეწოდებათ მუშაობისპროცესში);

36. იუზერებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა 2 საფეხურიანი ავტორიზაციის ჩართვის;

37. პორტალის აუცილებელი მახასიათებლები:

- ინსტრუმენტების დამატების/სამომავლო განვითარების საშუალება;
- გათვლილი მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიებზე/განსხვავებული უფლებები და შესაძლებლობები;
- მონაცემთა ბაზის ტიპის სტრუქტურა;

- მონაცემთა საკმაოდ დიდი რაოდენობის დამუშავების/შენახვის საშუალება;
- ინფორმაციის ძებნის მარტივი მექანიზმი, სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით და ჯგუფების/კლასიფიკაციის საშუალება;
- პორტალის მართვის პროცესში რამდენიმე მომხმარებლის ერთდროულად მუშაობის შესაძლებლობა;
- პროგრამაში მონაცემთა შეყვანის დროს, მონაცემთა ეტაპობრივად შეყვანის/შენახვის და საბოლოო დადასტურებით მათი „გამოქვეყნების“ შესაძლებლობა;
- მონაცემთა უსაფრთხოება/დაკარგული ან დაზიანებული ინფორმაციის აღდგენის შესაძლებლობა, იმ მომხმარებლის იდენტიფიცირების შესაძლებლობა, ვინც მონაცემები წაშალა/დააზიანა, უსაფრთხოების აუცილებელი გარანტიები (IT მხარე);
- ცვლილებების/დანამატების მარტივად განხორციელების შესაძლებლობა;
- პორტალის შესაძლო კავშირი სხვა მონაცემთა ბაზებთან (მაგ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გეოლოკაციის გვერდთან);
- აუცილებელია აკმაყოფილებდეს ეროვნულ კანონმდებლობას ელექტრონული პორტალის შექმნა/გამოყენებასთან დაკავშირებით.

38. მთავრობის აპარატს უნდა ჰქონდეს შემდეგი “ოპერაციების” განხორციელების საშუალება:

- ☒ უწყებებისთვის ონლაინ რეჟიმში კომენტარებისა და წინადადების მიწოდება;
- ☒ უწყებების მიერ პორტალში განთავსებული ინფორმაციის შესწორება/დამატება;
- ☒ უწყებების მიერ პორტალში განთავსებული ინფორმაციის დადასტურება და „გამოქვეყნება“, რომ ინფორმაცია გამოჩნდეს პორტალზე;

39. უწყებებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი “ოპერაციების” განხორციელების საშუალება:

☒ პორტალზე მონაცემთა შეყვანის დროს, მონაცემთა ეტაპობრივად შეყვანა - შენახვა და საბოლოო დადასტურებით მათი „გამოქვეყნება“- კოორდინატორისთვის გაგზავნა საბოლოო დასტურისთვის;

☒ სხვა უწყებების შემოთავაზებებზე კომენტარის გაკეთება.

☒ დაგეგმილი ღონისძიებების დამუშავება ონლაინ რეჟიმში;

40.თითოეული ტიპისგვერდის მართვის დეტალური აღწერა:

1. ტექსტური ტიპის გვერდი (News and article)

ნებისმიერ ტექსტური ტიპის გვერდს უნდა გააჩნდეს შემდეგი ველები:

- სათაური
- პოსტებისთვის თარიღის გამოტანა დაფარვის ფუნქცია
- ლინკის შექმნა (Friendly URL)
- მთავარი ფოტოს გამოტანის ფუნქცია
- პოსტისთვის ინფორმაციის შესაყვანი ველის არსებობა (Description)
- საძიებო სისტემებისთვის საკვანძო სიტყვების (Keywords) და მოკლე აღწერისათვის (Description) განკუთვნილი ველები (SEO ოპტიმიზაციისთვის)
- ანალოგიური გვერდის მიზმის შესაძლებლობა სხვადასხვა ენებზე (რაც საშუალებას მოგვცემს არსებული პოსტის/გვერდის ქართული ვერსიიდან გადავიდეთ რუსულ ან ინგლისურ ვერსიებზე).
- ყველა ტექსტურ გვერდს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს - JPG, JPEG PNG სურათების ატვირთვის და (PDF, DOCX, XLS, XLSX, PPTX, RAR) ასევე ვიდეოების ლინკის (Youtube, Myvideo.ge)დამატების შესაძლებლობა.
- სოციალურ ქსელებთან გაზიარების და მოწონების ღილაკი
- ფოტოების ალბომების და სლაიდერების შექმნის შესაძლებლობა.

2. ფოტოგალერეა:

- ფოტოების ალბომების შექმნის შესაძლებლობა, კონკრეტული პოსტისთვის ან სამინისტროს

გვერდისთვის.

- ალბომების დამალვა/გამოჩენის შესაძლებლობა
- თითოეული სურათისთვის აღწერის ველის არსებობა ყველა ენაზე (ALT Text)
- ალბომში ფოტოების რიგითობის მითითების საშუალება

3. ვიდეოგალერეა:

- კატეგორიების მართვა, კატეგორიისთვის სურათის დაყენება;
- ვიდეოზე ფოტოს ავტომატური დაყენება (Youtube - დან)
- ვიდეო გალერეის გვერდის და პლეილისტის დიზაინი შეთანხმდეს შემსყიდველთან.

4. Footer:

- Footer უნდა იმართებოდეს ადმინ პანელის მეშვეობით
- უნდა იყოს მენიუს ელემენტების დამატება/წაშლა/რედაქტირების ფუნქცია
- საჭიროა Footer-ი დაყოფილი იყოს სექტორებად სადაც საჭიროებისამებრ

განთავსდება სხვადასხვა ტიპის მენიუს ელემენტები და საკონტაქტო ინფორმაცია.

5. დამატებითი მოთხოვნები

- შემსყიდველთან შეთანხმებით უნდა მოხდეს არსებული საიტებიდან (<https://abkhazia.gov.ge>; <http://meca.gov.ge>; <http://amof.gov.ge>; <http://www.idpdep.gov.ge>; <http://mhsa.gov.ge>; <http://cbra.gov.ge>; <http://abkhaziajustice.gov.ge>; <http://agroabkhazia.gov.ge>; <http://amra.gov.ge>; <http://black-sea.gov.ge>; <http://rga-szs.gov.ge>) ინფორმაციის გადატანა ახალ ვებ-პორტალზე.

41. პრეტენდენტმა ვებ-საიტის კოდის ოპტიმიზაცია უნდა განახორციელოს კიბერ უსაფრთხოების საინფორმაციო ბიულეტენი #002-ში მითითებული პირობების მსგავსად. საინფორმაციო ბიულეტენი წარმოდგენილია ტექნიკურ დოკუმენტაციაში;

42. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ვებ-გვერდის ჰოსტინგის მომსახურება (ჰოსტინგის პარამეტრები: 2 ბირთვი; 2 გბ ოპერატიული მეხსიერება; 64GB სსდ დისკი; 1გბ/წმ მიერთება; 10მბ/წმ ინტერნეტი) პორტალის ჩართვიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დანართი optimization.pdf

1.3 ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

ფასების ცხრილი დანართი #1.pdf

1.4 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

მომსახურების ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) სამუშაო დღეს.

1.5 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

ვებ-გვერდის შექმნასთან დაკავშირებული ძირითადი სამუშაოები უნდა განხორციელდეს პროექტენდენტის მისამართზე, ხოლო საჭიროებისამებრ, დანარჩენი მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42.

1.7.1 მოთხოვნა საგარანტიო ვადის შესახებ

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში ვებ-გვერდის ტექნიკური მომსახურება - უფასო ტექნიკური მხარდაჭერა და ხარვეზების (თუ ასეთი იქნება) გამოსწორება საკუთარი ხარჯებით დროის მაქსიმალურად მოკლე პერიოდში, ასევე უფასო კონსულტაცია ვებ-გვერდთან დაკავშირებულ საკითხებზე.

იმ შემთხვევაში თუ შეიცვლება ჰოსტინგ პროვაიდერი, მიმწოდებელი ვალდებულია ვებ-გვერდი და არსებული ფაილები გადაიტანოს ახალ ჰოსტინგზე და მოახდინოს მისი გამართულად ჩართვა.

ტექნიკური მოთხოვნები

2.2.1 მოთხოვნა პროექტენდენტის გამოცდილების შესახებ

ტენდერში მონაწილე პროექტენდენტს უნდა ჰქონდეს ანალოგიური საქმიანობის განხორციელების მინიმუმ 5 (ხუთ) წლიანია გამოცდილება. პროექტენდენტს განხორციელებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 8 (რვა) ვებ-პროექტი (მინიმუმ ხუთი უნდა იყოს მიმდინარე-მოქმედი), აქედან მინიმუმ 2 მსგავსი სირთულის ვებ-გვერდი, (სირთულე

გადამოწმდება ვებ-გვერდების ტექნიკური დავალებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით). აღნიშნულის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს შესრულებული პროექტების შესახებ ინფორმაცია: აღწერილობა და/ან ვებ მისამართები და შესრულებული ნამუშევრების პორტფოლიო.

2.5.1 მოთხოვნა საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან დაკავშირებით (გეგმა-გრაფიკი)

პროექტზე მუშაობის გეგმა -გრაფიკი

2.5.1.1 პროექტის კონცეპტუალური დიზაინის შექმნა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღე;

შენიშვნა: პროექტის კონცეპტუალური დიზაინის შექმნა გულისხმობს მთავარი გვერდის და რამდენიმე შიდა გვერდის ესკიზის შექმნას, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს დამკვეთის ყველა შენიშვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვებ-საიტის მთავარი გვერდის და ყველა შიდა გვერდის დიზაინის შექმნა უნდა განხორციელდეს საბოლოო ესკიზის შეთანხმების შემდეგ, ესკიზის მიხედვით და გათვალისწინებული უნდა იყოს დამკვეთის ყველა შენიშვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.5.1.2 ვებ-საიტის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 50 (ორმოცდა ათი) სამუშაო დღეში.

2.5.1.3 ვებ-გვერდის სრულად დასრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან - 60 (სამოცი) სამუშაო დღე.

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1.1 მოთხოვნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის შესახებ

4.1.1.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ექსპერტიზის ან/და აუდიტის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის

გამცემი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი), რომელშიც უნდა დასტურდებოდეს (ტექსტობრივად მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს) ტენდერში პრეტენდენტის მიერ ატვირთულ საბოლოო ფასების ცხრილში (შესაბამისი ტენდერის უნიკალური ნომრის მითითებით) დაფიქსირებული ერთეულის ფასებით და აგრეთვე ჯამური ღირებულებით ამავე ფასების ცხრილით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა.

4.1.1.2 დასკვნის წარმოდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-18 მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებისა და 28-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

4.1.2 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში

ანგარიშსწორების პირობები

7.2 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან ანგარიშ-ფაქტურის (თუ მიმწოდებელი არის დღგ-ს გადამხდელი) საფუძველზე.

7.3 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და/ან ანგარიშ-ფაქტურის (თუ მიმწოდებელი არის დღგ-ს გადამხდელი) გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ელენე პირტახია, 598727080, logistics@abkhazia.gov.ge რენალდ დგებუაძე, 599540160

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1.1 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

10.1.2 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

10.1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

10.1.4 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

10.1.5 პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

10.2 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

10.2.1 ფასების ცხრილი დანართი N1-ის მიხედვით (ფასების ცხრილის წარმოუდგენლობა ან/და განუფასებელი ფასების ცხრილის წარმოდგენა, დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას).

10.2.2 ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ :
პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ანალოგიური საქმიანობის განხორციელების მინიმუმ 5 (ხუთ) წლიანია გამოცდილება. განხორციელებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 8 (რვა) ვებ-პროექტი (მინიმუმ ხუთი უნდა იყოს მიმდინარე-მოქმედი), აქედან მინიმუმ 2 მსგავსი სირთულის ვებ-გვერდი, (სირთულე გადამოწმდება ვებ-გვერდების ტექნიკური დავალებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით). აღნიშნულის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს შესრულებული პროექტების შესახებ ინფორმაცია: აღწერილობა და/ან ვებ მისამართები და შესრულებული ნამუშევრების პორტფოლიო.

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი